შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის

მისია, არსი, განხორციელების გზები და მექანიზმები

განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

N 01 08.09 2021 წ.

დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ

ბრძ. N 01-03/04 10.09 2021 წ.

ბათუმი

მისია

სკოლა–ლიცეუმი მასტერკლასი, რომელიც სახელმწიფო განათლების სისტემის შემადგენელი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, განათლების სამივე საფეხურზე, ემსახურება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მოტივირებული, მაღალზნეობრივი, ინტელექტუალური, ჯანსაღი ცხოვრების წესის გამზიარებელი, ეკოლოგიური ვალდებულებების გამთავისებელი და დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას.

სკოლის მისიაა დასავლეთ ევროპული ენების (გერმანული, ფრანგული, ინგლისური,რუსული) ცოდნითა და მედიატექნოლოგიური უნარებით აღჭურვილმა თაობამ, ეროვნული თუ მსოფლიო ფასეულობების გათვალისწინებით, შეძლოს ინდივიდუალური, შემოქმედებითი, თავისუფალი ხედვების განვითარება,რათა შემდგომ, თანამედროვე გამოწვევევების ეპოქაში, ახალგაზრდებმა მოახერხონ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, ტოლერანტული დამოკიდებულებებით საზოგადოების ნებისმიერ გაერთიანებასთან ურთიერთობა, კანონიერების, წესრიგის, უპირატესობის პრინციპის გათავისება და ცოდნისა და უნარების საკუთარი და საზოგადო კეთილდღეობისთვის გამოყენება.

არსი, განხორციელების გზები და მექანიზმები

თანამედროვე გლობალური და სახელმწიფოებრივი გამოწვევების გათვალისინებით სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასს ზუსტად აქვს გაცნობიერებული მისიით გაცხადებული თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, კერძოდ :

- **სახელმწიფოებრივად მოაზროვნე** მოქალაქეს წარმოადგენს პიროვნება, რომელიც გადაწყვეტილებებს გააზრებულად იღებს ხალხის და სახელმწიფოს სასარგებლოდ, პირადი ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე. მისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად ყალიბდება ქვეყნისთვის იმგვარი სამსახურის გაწევა, რომელიც მომავალში სტაბილურად განვითარებად პროცესებს შეუწყობს ხელს.

  როგორ ვახერხებთ? -- სკოლის სახელმწიფო მოდელად წარმოდგენით, სადაც მოსწავლეები არამარტო იაზრებენ საგნობრივი ცოდნის საჭიროებას საუკეთესო ცვლილებების განხორციელებისთვის, არამედ სკოლის მართვის უფლების იმიტირებებით, სხვათა ინტერესების გათვალისწინებით სწავლობენ წარმატებების მიღწევას (მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლის მთავარ პერსონად აღიარება, თვითმაართველობის, საკლუბო, შემოქმედებით აქტივობების წახალისება და დაგეგმილ ღონისძიებებში

მოსწავლესთან ერთად თანამონაწილეობა პასუხისმგებლობის განაწილებისა და შედეგის გაანალიზებაში).

- **მოტივირებული თაობა** განიხილება, როგორც საჭირო/აუცილებელი უნარებით აღჭურვილი ახალგაზრდები, რომლებიც ენთუზიზმით ეკიდებიან ნებისმიერ საქმიანობას.

როგორ ვახერხებთ? -- მოსწავლეთა მიღწევების მთავარ პრიორიტეტად ქცევით. მათში ინდივიდუალური ნიჭის, შესაძლებლობის და განვითარების, განსხვავებული პოტენციალის აღიარებით და წახალისების ფორმებით(სკოლის გრანტი, ფასიანი საჩუქრები, სიგელები, თვითმმართველობის, კლუბების, წრეების მიერ დაგეგმილი აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა) მოსწავლეთა შეცდომების- სწავლის შესაძლებლობად გარდაქმნით.

- **მაღალზნეობრივი თაობის ფორმირება** - ნებისმიერ საზოგადოებაში სწორად მოქმედი და მოაზროვნე, სიკეთის კეთების მოთხოვნილების მქონე ადამიანის ჩამოყალიბება.

როგორ ვახერხებთ? -- სწავლების სამივე ეტაპზე კეთილგონიერების, სიმამაცის, თვითდისციპლინის, სამართლიანობის, თანაგრძნობის, სიმტკიცის, პატიოსნების, თავმდაბლობის და ერთგულების უპირატესობების სწავლებით, რომელსაც მასწავლებლების და კლასის კოორდინატორები (აღმზრდელები)სხ/სხ აქტივოით ახორციელებენ.

- **ინტელექტუალური ახალგაზრდა** -- მოსწავლეთა ინდივიდულური თავისებურებების გათვალისწინებით მრავალმხრივი ინტელექტის მქონე ახალგაზრდის აღზრდა.

როგორ ვახერხებთ? - ეროვნული თუ საერთაშორისო სასწავლო გამოცდილების უზრუნველყოფით, სკოლაში სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვით, საინტერესო, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების პროგრამებით, რომლის განხორციელებაში მონაწილეობს სკოლის დამფუძნებელთა საბჭო, სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და მოსწავლეების კანონიერი წარმომადგენლები (დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება დღის მეორე ნახევარში, პროფილზე ორიენტირებული სწავლება განათლების საშუალო საფეხურზე, „შაბათის პრიგრამა“, დასავლეთ ევროპული ენებისა და ჟესტური ენის ინტენსიური შესწავლა).

- **ჯანსაღი ცხოვრების წესის გამზიარებელი თაობა** - ფსიქოემოციურად სტაბილური, ინდივიდუალური, ფიზიოლოგიური თავისებურებების

გათვალისწინებით ბედნიერი, ჯანსაღი თაობის აღზრდა, რომელსაც კარგად ესმის მავნე ჩვევებზე (თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე) დამოკიდებულებების უარყოფითი შედეგი და პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვის უპირატესობა.

როგორ ვახერხებთ? -- მოზარდების ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობით, რა დროსაც, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი სპორტული (სპორტული შიდატურნირები/ მხიარული შეჯიბრებები/ სკოლის სპოტული კლუბი), შემოქმედებითი (ჯანსაღი ცხოვრების წესზე სკეჩების, მინი სპექტაკლების, გამოფენების დამზადება-გამოფენა), შემეცნებით-გასართობი (თემატური გაკვეთილების/ლექციების ჩატარება ადგილობრივი და მოსწვეული სტუმრების ჩართულობით), საინფორმაციო კამპანიების, ღონისძიებების ორგანიზებას (სამოქალაქო კლუბისა და სკოლის თვითმმართველობის ფარგლებში მოწყვლად ჯგუფებთან შეხვედრები), სკოლის გარეთ დაგეგმილ საქალაქო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობას.

- **ეკოლოგიური ვალდებულებების გამთავისებელი პიროვნება** -- სამოქალაქო აქტივიზმის სულისკვეთების ახალგაზრდის აღზრდა, რომელიც უარყოფს ნებისმიერ ისეთ შეხედულებას, რითაც ადამიანებს აქვთ უფლება მოიხმარონ ყველა ტიპის ბუნებრივი რესურსი ნებისმიერი საშუალებებით. იცნობს ეკოლოგიური პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და სხვებზე გარემოს დაცვის სწავლებითა და აქტიური ღონისძიებებით აუმჯობესებს ეკოლოგიურ გარემოს.

როგორ ვახერხებთ? -- სწავლების ყველა ეტაპზე თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად პერმამენტული, პრაქტიკული აქტივობების (ხეების დარგვა, სანაპირო ზოლისა თუ კონკრეტული ტერიტორიების დასუფთავების აქციაში მონაწილეობა, საინფორმაციო კამპანიების წარმართვა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან სკოლაში მოქმედ კლუბების დონეზე შუამდგომლობების დაყენება ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით)განხორციელებით, რომლებიც თაობებს ჩვევებში გადასულ მოთხოვნილებებს უყალიბებს.

- **დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული** თაობების აღზრდა იმ ცოდნა-რწმენით, რომ თითოეული ადამიანი სარგებლობს თანაბარი უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, გააჩნიათ თანაბარი ღირსება და იმსახურებენ თანასწორ პატივისცემას.

როგორ ვახერხებთ? -- დემოკრატიული ღირებულებების (თანასწორობის, თავისუფლების, სამართლიანობის, პლურალიზმის, ტოლერანტობის, პატივისცემის და სხ. მისთ.) თეორიული და პრაქტიკული შესწავლით, რა დროსაც მოსწავლეები არამარტო უპირისპირდებიან სტერეოტიპულ აზროვნებას, არამედ თავად ხდებიან ფართო საზოგადოებაში ცოდნის გამტანი და მისი შესაბამისი ქმედებების გამხორციელებლები (საგაკვეთილო-საღმზრდელო თემატიკით, სამოქალაქო აქტივიზმის წახალისებით, პროექტული სწავლებით)

- **ეროვნული თუ მსოფლიო ფასეულობების გამთავისებელი ახალგაზრდობა-** არქეოლოგიის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სხვა მნიშვნელოვანი სასულიერო თუ საერო ხასიათის ფასეულობათა საჭიროების, დაცვის და სწორედ გამოყენების ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულები.

როგორ ვახერხებთ? -- გარე სამყაროს სწორედ შემეცნების ხელშეწყობა და ამ სამყარაშო საკუთარი განვითარების დანახვა ფასეულობათა მიღება-გამოყენებით, რომელსაც სკოლა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის დახმარებით და კულტურულ-საგანმანათლებლო-შემოქმედებითი აქტივობებით ახორციელებს(ლიტერატურული კლუბი, სამოქალაქო კლუბი, მუზეუმებთან მემორანდუმის ფარგლებში ჩატარებული აქტივობებით, მრავალეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონის კულტუირის გააზრებით და მსოფლიო ღირებულებითი ფასეულობების დანერგვით).

- **მედიატექნოლოგიური უნარებით აღჭურვილი** -- ციფრული მედიის ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორად, მიზანმიმართულად და კანონიერად გამოყენების მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე თაობების ფორმირება.

როგორ ვახერხებთ? -- ტექნოლოგიური თვალსაზრისით კარგად აღჭურვილი, პროგრამულად გამართული სასკოლო- საკლასო სივრცის გამოყენებით, ამ მედიამიმართულებით თანამედროვე მიღწევების დანერგვით, მოსწავლეებზე თავდაცვითი და კიბერუსაფრთხოების მექანიზმების სწავლებით.

- **ინდივიდუალური, შემოქმედებითი, თავისუფალი ხედვების წახალისება** -- მოსწავლეებში ინდივიდუალიზმის უპირატესობის წახალისება და თავისუფალი ხედვებით შემოქმედებითი მრავალფეროვნების გააქტიურება.

როგორ ვახერხებთ? -- ყველა ბავშვის ინდივიდუალური ნიჭის, შესაძლებლობების და განვითარების განსხვავებული პოტენციალის აღიარებით. ისეთი მექნიზმების დანერგვით, რომლითაც თითოეული მოსწავლე შეიგრძნობს და დაინახავს სკუთარი განვითარების პროგრესს (ანგარიშებზე, მონიტორინგებზე, მოსწავლეთა განაცხადებზე, მშობელთა მოთხოვნის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა სხ/სხ აქტივობასა და ღონისძიებაში)

- **პრიორიტეტების სწორად განსაზღვრელი** -- დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზაობისუნარიანი თაობის აღზრდა, რომელთაც მომავლის ორიენტირის განსაზღვრისას (პიროვნულ თუ ორგანიზაციულ დონეზე) ეცოდინებათ დროში აქტივობების სწორი დაგეგმა.

როგორ ვახერხებთ? -- საგნობრივ განათლების კომპონენტში დაგეგმის უპირატესობის სწავლებით და მასზე დაკვირვების შედეგებით პრიორიტეტების გადანაწილებით. მოსწავლესთან ერთად წარმატების დინამიკაში განილვით და საუკეთესო მაგალითების გამოყენება-გაანალიზებით.

- **ტოლერანტული დამოკიდებულებებით მცხოვრები** -- აღზარდოს თაობა, რომელსაც არაძალადობრივი გზით განსხვავებულ კულტურის, რასის, სქესის, რელიგიის და განსხვავებული ინდივიდუალობის თვითგამოხატვის მქონე ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის დამყარება. რადგან განსხვავებული ადამიანებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი თანამედროვე სამყაროს შესახებ თვალსაწიერის გაფართოება.

როგორ ვახერხებთ? --სკოლის ადმინისტრაციის ნებელობისა და მზაობის გამოხატულებით, განსხვავებულის მიმღებლობისა და თანასწორად აღქმის ჩვენებით. ტოლერანტულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობით, მაგალითის მიმცემი ტოლერანტი მასწავლებლებით, ყოველდღიურ ცხოვრებაში დევიზის „ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა, შენ მოგექცნენ...” გამოყენებით.

- **კანონიერების წესრიგის დამცველი თაობა** -- კანონის უზენაესობის ამღიარებელი, პასუხისმგებლობის გამზიარებელი და კანონმდებლობის მოთხოვნების შემსრულებელი მოქალაქეების აღზრდა.

როგორ ვახერხებთ? -- საგნობრივი მოთხოვნებით გათვალისწინებული თემების სწავლებასთან ერთად, მოსწავლეების ჩართულობით შიდარეგულაციების (მოსწავლეთა ქცევის წესები, სკოლაში დისციპლინური

პასუხისმგებლობის მოთხოვნები და ა. შ.) შემუშავებაში, მათი დაცვის მონიტორიგში მონაწილეობით, ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პროცესებზე დასწრებით, იმიტირებული პროცესების გამართვით, კაზუსების განხილვით.

შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის მისიის განხორციელებაში თანაბრად არიან ჩართული სკოლის დამფუძნებელთა საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, მოსწავლეთა გაერთიანებები, პედაგოგები და მშობლები.